



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TELAVI MUNICIPALITY COUNCIL



აქტი:ა27.27213441

თარიღი:10/12/2021

პინი:6210

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ა ნ გ ა რ ი შ ი

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს ინფორმაციის

თავისუფლების შესახებ დებულების შესრულების თაობაზე

2021 წლის 10 დეკემბრის მდგომარეობით თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოსულია 20 განცხადება, აქედან 19 განცხადება შემოსულია საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე, ხოლო 1 განცხადება შემოსულია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის სახელზე.

განცხადებები შემოსულია:

1. „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ - 3 განცხადება;
2. ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრი - 1 განცხადება;
3. საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია - 2 განცხადება;
4. სსიპ ზ. ჟვანიას სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა - 1 განცხადება;
5. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი - 3 განცხადება;
6. საქართველოს პარლამენტის წევრი - 1 განცხადება;
7. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი - 1 განცხადება;
8. სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტი - 1 განცხადება;
9. მოქალაქეები - 7 განცხადება.

საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნით განცხადება მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული არ არის.

შემოსულ მოთხოვნებზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილება მიღებული არ ყოფილა. შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ფაქტიც არ მომხდარა.

შემოსული 20 განცხადებიდან 20 განცხადებაზე გაიცა მოთხოვნილი ინფორმაცია. შესაბამისად მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე 19 გადაწყვეტილება მიღებულია საკრებულოს თავმჯდომარის მიერ, ხოლო 1 გადაწყვეტილება საკრებულოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის მიერ.

განმცხადებლების მიერ მოთხოვნილია:

- საკრებულოს და საკრებულოს ბიუროს სხდომის ოქმები;
- საკრებულოს კომისიების და ფრაქციების სხდომების ოქმები;
- საკრებულოს მორიგი და რიგგარეშე სხდომების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია (რიგგარეშე სხდომის შემთხვევაში ინიციატორის მითითებით);
- საკრებულოს ბიუროს, კომისიების, ფრაქციების, დროებითი სამუშაო ჯგუფების ჩამონათვალის შესახებ ინფორმაცია;
- გენდერული თანასწორობის სტრატეგიის, მისი ვადების და სამოქმედო გეგმის შესახებ ინფორმაცია;
- საკრებულოში დასაქმებულ ქალთა რაოდენობა;
- საკრებულოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობის შესახებ ინფორმაცია;
- გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ ჩატარებული სხდომის ოქმები;
- საკრებულოს აპარატის სტრუქტურული ერთეულების ჩამონათვალი;
- საკრებულოს აპარატში დასაქმებულ პირთა შესახებ ინფორმაცია;
- თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების შესახებ ინფორმაცია;
- პოლიტიკურ თანამდებობის პირებზე, აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეებზე და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებზე გაწეული ხარჯების (ხელფასი, დანამატი, ჯილდო, მივლინება, საწვავი) შესახებ ინფორმაცია;
- საკრებულოს ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების მომსახურებაზე და საწვავზე დახარჯული თანხების შესახებ ინფორმაცია;
- საკრებულოს წევრების მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშების შესახებ ინფორმაცია;
- 2020-2021 წლებში Covid-19-ის პანდემიასთან საბრძოლველად ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გაწეული საქმიანობის და შესაბამისი ხარჯების შესახებ ინფორმაცია;
- წყლის სისტემების რეაბილიტაციისათვის დახარჯული თანხების შესახებ ინფორმაცია.

2021 წლის განმავლობაში თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დახურვის შესახებ გადაწყვეტილება არ მიუღია.

საჯარო მოსამსახურეების მიერ საქართველოს “ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მოთხოვნების დარღვევებისა და პასუხისმგებელი პირებისათვის დისციპლინური სახდელის დადების ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

ინფორმაციის თავისუფლების უზრუნველყოფის მიზნით მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოებს საჯარო რეესტრის ჟურნალი. ჟურნალში საჯარო ინფორმაციას აღრიცხავს საკრებულოს აპარატის მოქალაქეთა მომსახურების და საქმის წარმოების განყოფილება მისი მიღებისთანავე.

თენგიზი მთვარელიშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

